ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №9

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.N 65 13. 07.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-**გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, გელა ვარდოსანიძე, გრიგოლ მატარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის უფროსი-**კობა მაღლაკელიძე.**
საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომა 13^{00}-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2022 წლის 13 ივლისის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1.„ მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს. გიორგი ივანიაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“;

მომხს.გიორგი ივანიაძე

3.საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ივნისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ განკარგულების პროექტის მომზადების თაობაზე;

მომხს.გელა ჩიკვაიძე

4.„ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში_მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხს. ზვიადი კაპანაძე

5.„ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის №-65.65221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. მამუკა ნამიჭეიშვილი.

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ალექსანდრე ლილუაშვილი

7 .ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

1.„ მწვრთნელი დაჯილდოვდება ერთჯერადად, საუკეთესო შედეგის მქონე სპორტსმენზე გასაცემი ჯილდოს ოდენობის 50%-ით."

2.,, ერთიდაიმავე სპორტსმენის მიერ სპორტის ერთ სახეობაში რამოდენიმე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში, სპორტსმენს მიეცემა ერთი ჯილდო საუკეთესო შედეგის ჩვენებისათვის.

3.,,სპორტის სახეობაში, რომელშიც ჩემპიონატი ტარდება წელიწადში რამოდენიმეჯერ, სპორტსმენი მიიღებს წელიწადში ერთ ჯილდოს. თუ იმავე წელს გამართულ ჩემპიონატში, სპორტსმენი გააუმჯობესებს შედეგს ანუ დაიკავებს უფრო მაღალ საპრიზო ადგილს, მას გადაეცემა ჯილდოებს შორის სხვაობის ოდენობის თანხა."

„4. გუნდის ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: მწვრთნელი - 500 ლარი, განაცხადში მითითებული გუნდის თითოეული წევრი - 200 ლარი."

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 13 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით „ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია პროექტი და წარმოდგენილი იქნება უახლოეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი არ იქნას შეტანილი საკრებულოს 2022 წლის 13 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ივნისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ" განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022

წლის 1 ივლისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ივნისის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ 675 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსნებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა:

1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 528 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.285), საწყისი საპრივატიზებო საფასური 530 (ხუთას ოცდაათი) ლარი;
2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 2057 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.286), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2060 (ორიათას სამოცი) ლარი;
3. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 1236 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.287), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1240 (ათას ორას ორმოცი) ლარი;
4. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 1103 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.288), 1100 (ათას ასი) ლარი;
5. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 801 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.289), 800 (რვაასი) ლარი;
6. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 401 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.290), 400 (ოთხასი) ლარი;
7. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 346 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.291), 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;
8. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 18210 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.248), საწყისი საპრივატიზებო საფასური 18210 (თვრამეტი ათას ორას ათი) ლარი
9. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 144 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.22.355), საწყისი საპრივატიზებო საფასური 140 (ას ორმოცი) ლარი;

10. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 320 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.22.356), 320 (სამას ოცი) ლარი,
11. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მთისძირში მდებარე 35000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.31.252), 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის №-65.65221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა შემდეგ პროექტებში :

1.ტობანიერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბაკურაძეები-სოსელიების უბანში თანხით 16000 ლარი, შეიცვლა საავტომობილო გზის რებილიტაცია მეფარიშვილების უბანში.(თანხით იგივე).

2.ზეინდარიში მგზავრთა მოსაცდელის რებილიტაცია თანხით 8000 ლარი დაემატა თანხა 3000 ლარი.

3. ზეინდარში კიუეტის მოწყობა სკოლის მიმდებარედ თანხით 8000 ლარი შეიცვალა გარე განათებისთვის ელ. სადენების შეძენა თანით 5000 ლარი ხოლო სხვაობა 3000 ლარი დაემატა მგავზრათა მოსაცდელის რებილიტაციას.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ (ალექსანდრე ლილუაშვილის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა ასეთია:

განსახილველი და მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;
3. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის. ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ;

მოსამენი და განსახილველი ანგარიშები:

1. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა;
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენა;
4. ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2021-2022 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
5. ინფორმაციის მოსმენა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ;

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცე საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 14 ივლისის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 14 ივლისის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგი.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე